## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 119
(გამარტივებული შესყიდვა SPV 63712500)

ქ. ფოთი „15" ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური", ს/კ 215082764, მისამართი: ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქუჩა N 93, საბანკო რეკვიზიტები: „სახელმწიფო ხაზინა", ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა, 707247519, დირექტორი რევაზ ბაბილუა (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შპს „სათხო" ს/კ 215110252; მისამართი: ქ. ფოთი, ლარნაკას № 21, საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „თიბისი ბანკი" ბ/კ BAGAGE22: ა/ა GE78TB0400000010467306 (შემდგომში „მიმწოდებელი"), ტელ: 0493 221780, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1.„მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველ"-ს გაუწიოს სასწორით ჯართის აწონვის მომსახურება.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5 ( ხუთი ) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების (ჯართის აწონვის შედეგად დადგენილი წონის) შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**3. მომსახურების მიწოდების ვადები**

3.1 შესყიდული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან. 2016 წლის 19 ივლისის ჩათვლით

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა**

4.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის: ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

**5. მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"-ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.2. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"-ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

6.5 მხარეების პასუხისმგებლობა:

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით ხელშეკრულების საერთო თანხის 0.05 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6 პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, მისი დაკავება მოხდება, მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან.

7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

7.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

7.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

7.4 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

8. უფლებების გადაცემა

8.1 „მიმწოდებელს" „შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მიღებული ხელშეკრულებით აღებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

„შემსყიდველის" მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"-ს

დირექტორი: რევაზ ზაბილუა

„მიმწოდებლის" მხრიდან:

შ.პ.ს. „სათნო"-ს დირექტორი: თენგიზ სარიშვილი